№ 94
სამშაბათი, 2 მაისი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 94
სამშაბათი, 2 მაისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 22


## სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 25 და 26 მაისს მუშტაიდის ბაღში, და თუ ვინიცობაა ამინდმა ხელი შეუშალა, იმ შემთხვევაში გადადებულ იქნება 28 და 29 მაისისათვის. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრი ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6 დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. მატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბაგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა, შინაგანი და ბავშვებისა და ბავშვებისათვის ყვავილის აცრა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

გუდა, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი სავანიშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**


## ახალი ამბავი

⁂ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, კავკასიის გრენადერთა დივიზიის უფროსი დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე პეტერბურგიდგან ტფილისს დაბრუნდა.

⁂ კვირას, 30 აპრილს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნული „ცეცხლისაგან დამზღვევ ტფილისის საურთიერთო საზოგადოების“ წევრთა საზოგადო კრება წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო მაისის 15-სათვის იქმნა გადადებული.

⁂ მისის უდიდებულესობის სპარსეთის შაჰის მისაგებებლად კავკასიის სამხედრო ოლქის საგენერალო შტაბის გენერალ-ლეიტენანტი ა. ს. ზელიონი ჯულფაში წავიდა..

⁂ ტფილისის გუბერნატორს წინადადება მიუცია ყველა სამხედრო საბეგრო საკრებულოთათვის, წარმომიგზავნეთ სია სამხედრო ცხენების ნაწილთა იმ გამგეებისა, რომელნიც თავისს მოვალეობის ერთგულად აღსრულებისათვის ღირსნი არიან მედლებითა და საჩუქრებით დაჯილდოებისაო.

⁂ საერო განათლების სამინისტროს წინადადებანი დაუგზავნია სამოსწავლო ოლქების მზრუნველებისათვის, აცნობეთ საშუალო სასწავლებლების მთავრობათ, რომ აუცილებლად საჭიროა სასწავლო სახელმძღვანელო და საშველი წიგნები იმ წიგნებიდგან იქმნას ამორჩეული, რომლებიც სამინისტროსა და სასულიერო უწყების მიერ უკვე ნებადართულიაო. აღნიშნული განკარგულება 1901 და 1902 წლიდგან ერთნაირად შეეხება როგორც იმ წიგნებს, რომლებიც უკვე ნებადაურთველია, აგრეთვე იმათ, რომლებიც ნებადართულია, მაგრამ ახლად არის გამოცემული. ყოველივე ახალი გამოცემა, თუნდაც ადრე ნება-დართული, უთუოდ ხელახლად უნდა წარუდგინოს სამინისტროსთან არსებულს სწავლულთა კომიტეტს, რომ ნება-დართულ გამოცემათა რიცხვში იქმნას შეტანილი.

⁂ ეგზამენები ახლად დაარსებულს ტფილისის საკომერციო სასწავლებელში 29 აპრილს დასრულდა. სულ მიღებულ იქმნა: უმცროს განყოფილებაში—100, უფროსში—120 და 1-ლ კლასში 90. სწავლა სექტემბერში დაიწყება. სასწავლებლის დირექტორი მ. ო. ფიშერი ვენასა, პრაგასა და ბუდაპეშტს წავიდა იქაურ სავაჭრო-სამრეწველო მუზეუმების დასათვარიელებლად, რადგანაც გადაწყვეტილია ამ გვარი მუზეუმი ტფილისის სასწავლებელთანაც იქმნას დაარსებული.

⁂ ამ მიმდინარე წლის 15 მაისში რუსეთის რკინის გზათა უფროსებისა და მმართველთა განსაკუთრებული კრება იქმნება მიწვეული. კრებას აზრადა აქვს რკინის გზებზედ საადმინისტრაციო და საფინანსო შინა წეს-რიგი გააუმჯობესოს და უკედ მოაწყოს.

⁂ შაბათს, 29 აპრილს, ქალაქის გამგეობისა და კომისიის შეერთებულ კრებას სხდომა ჰქონდა ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ. ქალაქის ელექტრონით განათებისა და 500 ლითონის საფარნე ბოძის დადგმისათვის გალსკესა და სიმენსის ფირმა თხოულობს 470,000 მან. ამავ თავით, ან-და 524,000 მან. 10 წლის ვადით წელიწადში 5% სარგებლით. უნიონის ფირმა გარდაწყვეტილს ფულს არ ასახელებს, მხოლოდ 7% თხოულობს; შუკერტის ფირმა თანახმაა 430,000 მანეთად იკისროს ელექტრონით განათება, თუ ათის წლის ვადით ვალში 7% მიიღებს წელიწადში; დასასრულ ალშევიჩის და კერნის ფირმა თხოულობს 435,000 მან. ათის წლის ვადით 5% სარგებლით წელიწადში. ამასთანავე თანახმაა ააშენოს ელექტრონის სად-

## ფელეტონი

### „სიყვარულის წამალ-ნაჭამი“

(ესკიზი)

— რა ციავ ცხელებასავით ჩამაცივდებიყე, ადამიანო, რა გინდა ჩემგან, დედავ, თავს ხო ვერ დამახრჩობინებ? ახა, ღმერთო ჩემო, დიდება შენთვის უფალო, ე რა ცეცხლი და დარდუბალაა, თქვენი ჭირიმეთ!.. ნუ გადამეკიდებიყე, დედავ, ძველ ხურჯინივით, ნუ, და ნურარც გამიჩავებ შენ დღეში: თალიკოც თავისს დედა ირინესავით უნამუსოაო. ბევრი კოსე-კოსე და ლაპარაკი რა საჭიროა, ათასჯერ მითქვამ და ეხლაც გეუბნები: მე შენი ნაქები და ფულ-მზითევიანი ქალების შამრთველი არა ვარ, არა, არა და არა! გაიგე და შაიტყე, ქრისტიანო, იიიმოს, ძალია!..

— ვიშ, შე დალოცვილო ღმერთო, ან რატო მე არ მომკალ, მინამ ჩემ შვილს თალიკოს სიყვარული ჩაუვარდებოდა გულში, და ან ი მზებნელი თალა მუცელშივე არ გაუწყალე იმ უნამუსო, ლეჩაქ-მოხდილ დედას!..

— კარგი, დააყე ე შხამიანი ენა, ადამიანო! შე ოჯახ-დაქცეულო, აბა აახილე ე თვალები და მიიხედ მოიხედე, როგო გამოიცვალა ე ქვეყანა ეხლანდელ დროში ყველაზედ ნაბოლოვარი გლეხის პაწაწინა გოგოჭუაც-კი აღარ უგონებს დედ-მამას და თავის გულის ნამდომს ირთავს, და როგო, შენ მე ოც-და-თორმეტის წლის ვაჟი-კაცი იგრე მასხარა ბერიკასავით უნდა მათამაშო შენ ჭკუაზე, რო ვინც მე არ მინდა, ის შამრთო?! არა, დედავ და თვალო, არა, უბრალოდ ნურცა ჰცდილობ და ნურც ირჯები: ან შენგან ათვალწუნებული ცარიელ-ტარიელი თალიკო უნდა შავირთო ცოლად, ან არა-და ალაზანში ჩავიხრჩო და დავიკარგო სულიან-ხორციანად, მორჩომილი საქმეა.

— ღმერთო მაღალო, სავედრებელო, შენ დაგვიხსენ და დაგვიფარე საზარელი უბედურობისაგან! სწორედ სიყვარულის წამალი გაჭამა და გადაგრივა ეგრე იმ ეშმაკის კვერცხიდამ გამომძვრალმა ქაჯის წიწილამ, იმ ღვთის პირის მკაწრავი კაპარჩხინა-უნამუსოს ნაშობმა აშალლარამ და იმ ჩემის ცოდვით დასაწვავ დასადაგავმა ჩაფარხანა-ათრახიჩამ!..

— კიდე!.. სხვა რაღა იცი, ლორაანთ ტარყაულას ქოქისავ? აჰა, ჰა, დორაყაულო, ერთი იმდღანდელივით მაჰხსენ ეხლაც პირი მა შენს ტარტარა ჭორის გუდას და რაც ქვეყანაზე პილწი, მურდალი და შხამ-გესლიანი სიტყვებია—სუ საწყალ თალიკოს დააბღერტე თავზე ჭიანტყის პანტასავით, ეგება მაგ ხერხიანი თილისმობით მაინც შამაძაგო, გადმიბირო ჭკუდი შამიცვალო, აი!..ვაი, შე საცოდავო! შე საცოდავო! შენ-კი არა, აგეი დაღისტნის მთიდამ ცეცხლის ბურთივით ამომავალი მზის მადლმა, თითონ ქვეყნის მხსნელი იესო ქრისტეც რო გამომეცხადოს სიზმარში და მიბძანოს: თუ თალიკო შაგირთავ, იმავ დღესვე ჭრაქივით გაგაქრობო, რა ვქნა, არ შამიძლიან, მაინც თალიკოს შავირთამ, ან არა-და, სული ეშმაკს უნდა მივცე, რადგანაც უთალიკოდ ვერ ვიცოცხლებ, როგორც თევზი უწყლოდ. არც ეხლა დამანებებ თავს, ვერც ეხლა გაიგე და შაიტყე, შე ოჯახ-ამოსაწყვეტო და სახლ-კარ დასაღუპავო, რომ იმ ქალის ბორჯებ-გადგმულ სიყვარულს ქვეყნის გამჩენი ღმერთიც ვერ ამომგლეჯავს გულიდამ, თუნდა ცხრა-ულელი ხარ-კამეჩიც დაუბას!..

— რათა, შვილო, რათა ჰჯიუტობ მაგრე და არ გეყურება საბრალო დედის გულ-შემატკივარი რჩევა? — თითონ მამა უფალს გაუჩენია ქვეყანაზე ეგეთი კერპი-გაუგონარი სიყვარული და რა ვქნა, ჩემი რა ბრალია, რა წყალში ჩავვარდე, დედავ, თავს ხო ვერ დამახრჩობინებ!.. ი არაკებში მაინც არ გაგიგონია, ადამიანო, რო დიდი ხემწიფის მარგალიტივით დახატულ ქალ-ვაჟებსაცკი თავნება და თაკქეიფა სიყვარულის გამაისობით მაწანწალა მთხოვარა და მთხოვრის შვილები შაურთამთ. და, არა, დაიცა გეთაყვანე, ქუდი დასვი და სამართალი ქენო, მე რომელი-და მაშრიყ ხემწიფის ოქროს ქოჩრიანი ვაჟი ვარ, რო ქვეყნის ქარაფშუტა ჭორებს ავყვე და დილის ცისკარივით გიზგიზა და მთის ვარდივით ლაღანა თალიკო ვიუკადრისო მთა-მინდორში გაზდილმა მიწის მუშამ!..

— მეც მაგასა ვჩივი და ვტირი, შვილო, რო ჯერ იგრეც წყეული სიყვარული თავნება კერპი, ურჩი და გაუგონარი ბრმა ყრუია და სიყვარულის წამალ-ნაჭამი სიყვარული რაღა იქნება!.. ი დამიფარე ღმერთო ნაცილისაგან, აწ ეხლავ, ქალობაშივე ი ქოქ-გასაქრობ და წინწალ-ამოსაწყვეტ დედის კვალს როგო დაადგა ი ლეჩაქ-მოხდილი უნამუსო და როგო გადაგრივა ეგრე დევივით მუშავაჟკაცი სიყვარულის წამლით!.. მაგრამ რას ვამბობ მე უბედური, ან-კი რა გასაკვირველია, ნათქვამია: კვიცი გვარზე ხტისო; ძაღლისა ბატკანი ვის უნახავსო; ხემა დაისხა ხილიო, რაც დედაა, ის შვილიო; დედა ნახე, მამა ნახე, შვილი იგრე გამონახეო; როგორიც გყავნდა დედაო, შენც იგეთი ხარ ქედაო; აბა, რატო ა ბრძენი კაცების ნათქვამი მაინც არ გაფიქრებს, შვილო, რათ აგდებ შენს თავს შენივე ხელით უძირო ორმოში და რათ გინდა რო შენზე მტერი აცინო და მოკეთე ატირო, როცა კაი ოჯახიშვილებიც-კი გეხვეწებიან ნაქებ მუშა-ვაჟკაცს: აი ჩვენი ქალი შეირთეო.

— სოლომონ ბრძენისათვინ უკითხავთ: ბატონო, ქვეყანაზე კაცი ბევრია, თუ დედაკაციო, და სოლომონს უბძანებია: რადგანაც ბევრი კაცი დედაკაცის ჰკვის ამყოლია და დედაკაცის ჰკვის ამყოლი კაცებიც დედაკაცებად ჩასათვლელები არიან, ამიტომაც ქვეყანაზე დედაკაცი უფრო ბევრიაო. მე კაცი ვარ და თავის დღეში დედაკაცის ჰკვას არ ავყვები და დედაკაცად ჩასათვლელი არ გავხდები, არა, არა და არა!.. იმთენი ღმერთმა მე მიშველოს, სადაც გამიჭირდეს ამ წყეულ ქაჯ-

გური, რომელიც 135 ოთხ-კუთხ საჟ. მიწას დაიჭერს და 500 ბოძის ნაცვლად 300 ბოძი დასდგას. გამგეობისა და კომისიის შეერთებულმა კრებამ, განიხილა-რა ყველა ზემოხსენებულ ფირმათა წინადადებანი, დაადგინა, რადგანაც შუკერტის ფირმის პირობები უფრო შეღავათიანია და ამასთანავე ეს ფირმა საიმედოა და ყველგან ცნობილი, მას მიეცეს ელექტრონით განათების უფლება. ამ კრებამვე გარდასწყვიტა შემუშაოს დაწვრილებითი ხელშეკრულობის პროექტი და საბჭოს წარუდგინოს დასამტკიცებლად.

*** რადგანაც ებრაელთა საქველმოქმედო დაწესებულებათა უმეტესობას დამტკიცებული წესდება დღემდის არა აქვს, შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს ამ დაწესებულებათ მოსთხოვოს წესდება შეადგინონ და დასამტკიცებლად სამინისტროს წარუდგინონო, სწერენ სატახტო ქალაქის გაზეთები.

*** როგორც პეტერბურგიდგან იუწყებიან, კომისიას, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის თავად ობოლენსკის თავმჯდომარეობით მინდობილი აქვს გარდასწყვიტოს,—გადაეცეს თუ არა ბინებზედ შესაწერი გარდასახადი ქალაქებს მათდა სასარგებლოდა და ამ გარდასახადის გამღებთ საარჩევანო უფლებანი მიეცეს, კვლავ დაუწყია მუშაობა.

*** ამ ბოლოს დროს მტკვარი მეტად მოდიდდა.

*** „Пр. Кр.“-ის სიტყვით, ჩიტაში გარდაცვლილა მალოროსიულ დასის მსახიობი-ქალი ბორისკაია, რომელსაც თავისის ნიჭიერ თამაშობით არა ერთხელ მოუხიბლავს ტფილისის საზოგადოება.

*** ს. აკეთი (გურია). 22 აპრილს აკეთის მაცხოვრის ეკკლესიის მრევლს, განურჩევლად წოდებისა, მღვდლის მამა დავით ჟინჭარაძის მეთაურობით მოლაპარაკება ჰქონდა მიცვალებულთა დასაფლავების დღეს ზოგიერთ მაზარაღებელ ჩვეულებას მოსპობის შესახებ. მამა დავითმა აუხსნა მრევლს, თუ რამდენად საზარალოა ხალხისათვის ჩვეულებრივი „ტირილი“ და რამდენათ აჩვეათებს ის ხალხს ქონებრივად. ხალხმა ადვილად შეიგნო მამა დავითის სიტყვები და იმავე დღეს დაადგინა შემდეგი განაჩენი: არც ერთი ჩვენგანი არ წავიდეს არსად „ზარით“ და არც სხვა მიიწვიოს; მოისპოს ჩვენშორის, აგრეთ წოდებული, „წასაბურავი“, ესე იგი ფულის მიტანა გარდაცვალებულის პატრონთან, რაიცა დღემდის სავალდებულო იყო; მოისპოს დღეინდელის რიცხვიდან ქელეხის გამართვა; გარდაცვალებულის პატრონს შეუძლიან სადილი გაუმართოს მხოლოდ სამღვდელო პირთ და სხვა სოფლებიდგან მოსულ სტუმრებს, მეზობლები-კი, გარდაცვალებულის დაკრძალვის შემდეგ, თავ თავიანთ სახლებში წავიდნენ და იქ ისადილონო. ამ განაჩენზე ხელი აქვს მოწერილი მთელს მრევლს და გადაწყვეტილია არც ერთმა მათგანმა პირობა არ დაარღვიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავემ უნდა გადაიხადოს ეკკლესიის და სკოლის სასარგებლოდ ჯარიმად ხუთი თუმანი, პირობა-კი ისევ ძალაში დარჩება.

*** დ. ზესტაფონი (შორაპ. მაზრა). აქაური ისედაც ღარიბი უფასო სამკითხველო კიდევაც გასძარცვეს 27 აპრილს, ღამით. ქურდს სხვა გასაღებით გაუღია სამკითხველოს კარები და წაუღია ყუთი, რომელშიაც 10 მანეთამდე ფული იყო. ადგილობრივ პოლიციას უკვე გამოუცხადეს ამის შესახებ, მაგრამ ჯერ ქურდი ვერ იპოვნეს.

*** ს. კარალეთი და გარეჯვარი. ამ ჟამად ამ სოფლებში მძვინვარებს სოფლე. ორი თვე იქნება თითქმის, რაც ეს ჭირი გაჩნდა აქ და უპატრონობისა გამო იმდენად გაძლიერდა, რომ თუ ვისმეს შეხვდა, იშვიათად იხდის. თუმცა ორივე ეს სოფელი გორზედ მხოლოთ 7—8 ვერსით არის დაშორებული, მაგრამ მათ პატრონად ჯერ არავინ გაჩნდა. არ ვიცი, იცის ეს ამბავი მაზრის მკურნალმა თუ არა. მე როგორც მითხრეს, იქ ჯერ მკურნალი არა ყოფილა, თუმცა ძნელად დასაჯერებელია ეს ამბავი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ორი სოფელი ერთმანეთზე მხოლოდ ნახევარი ვერსით თუ იქნება დაშორებული, ორსავეში 400-მდე კომლი მცხოვრებია. მაგრამ ჯერ არც ერთში სკოლა არ არის.

*** 29 აპრილს პოლიციის მე-6 ნაწილში მღებრების ქუჩაზედ გუმბრის მცხოვრებელს გასპარ აირუსმოვს ჩხუბი მოუვიდა ტფილისის მცხოვრებ ვასილ არაქელოვთან, რომლის დროსაც აირუსმოვმა მძიმედ დასჭრა არაქელოვი მარჯვენა გვერდში. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, დამნაშავე დააპატიმრეს.

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

კვირას, 30 აპრილს, კრებამ ბანკის ანგარიშის განხილვა განაგრძო. ხანგრძლივის კამათის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა, დაამტკიცებთ თუ არა ანგარიშსაო. თავადმა ვ. გ. მაჩაბელმა და ნ. ა. ხუდადოვმა განაცხადეს, თანახმანი ვართ დავამტკიცოთ ანგარიში, მხოლოდ ამ დამატებით, რომ „ის ზარალი, რომელიც ბანკს ბაქოს სააგენტოს გამო მოუვიდა, მოხდა გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის წევრთა, აგრეთვე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილის გაუფრთხილებლობისა და დაუდევრობის წყალობითაო“. თავმჯდომარემ ამ წინადადებას კენჭი უყარა და კრებამ 39 ხმის უმეტესობით 8 წინააღმდეგ უარ-ჰყო იგი.

ანგარიშის დამტკიცების შემდეგ რწმუნებულმა კობიაშვილმა წინადადება შეიტანა, კომისია იქმნას ამორჩეული რწმუნებულთაგან ბაქოს საგენტოში მომხდარ უწესოების ყოველის მხრივ გამოსაკვლევადაო. ამ წინადადებასაც კენჭი უყარეს. კრებამ 35 ხმის უმეტესობით 18 წინააღმდეგ უარ-ჰყო.

გუშინ, 1 მაისს, კრებამ მოისმინა ბანკის ამა მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა და შემდეგი მოხსენებანი: 1, ბანკის მოსამსახურეთა დაჯილდოვების (გამგეობის წევრთა გარდა) შესახებ ბანკის მოქმედების 25 წლის შესრულებისა გამო; 2, საზოგადო საჭიროებისათვის გადადებულ თანხის განაწილების შესახებ; 3, სასოფლო-სამეურნეო თანხის განაწილების შესახებ; 4, კრედიტის გაიაფების შესახებ; და 5, ბანკის წესდების მე-56 §-ის შეცვლის შესახებ.

ხარჯთ აღრიცხვა კრებამ მხოლოდ მცირედ შესცვალა. როგორც ამ ხარჯთ-აღრიცხვიდგან სჩანს, მთელი ხარჯი 85,990 მანეთი იქმნება. მოხსენება მოსამსახურეთა დაჯილდოვების შესახებ კრებამ უცვლელად შეიწყნარა. ამ მოხსენებით ბანკში მოსამსახურენი სამ ჯგუფად არიან გაყოფილნი: ისინი, ვინც ათს წელიწადზედ მეტს ჰმსახურებენ, მიიღებენ ორის თვის ჯამაგირის ოდენს, ვინც ხუთს წელიწადზედ არა ნაკლებს—თვენახევარ ჯამაგირის ოდენს და ვინც ხუთს წელიწადზედ ნაკლებს—ერთის თვის ჯამაგირის ოდენს. ამ ჯილდოებს მოუნდება სულ 4,756 მან. 96 კაპ.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ საზოგადო საჭიროებისთვის გადადებულ თანხის განაწილების შესახებ. ეს თანხა სულ 72,981 მ. 12 კაპეიკისაგან შესდგება. ზედამხედველ კომიტეტს ასე გაუნაწილებია ეს თანხა: 61,056 მან. —„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების“ სკოლის შესანახ ხარჯად; 1000 მანეთი—ქართულ დრამატიულ საზოგადოებას; 500 თელავის დედათა წმ. ნინოს სასწავლებელს; და 300 მან. გორის ანასტასიას სახელობის დედათა სასწავლებელს; ამ მოხსენების განხილვის დროს ი. ალხაზიშვილმა ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ ფული იქმნას გადადებული ტფილისში ახლად დაარსებულ საკომერციო სასწავლებელში ქართველ მოსწავლეთათვის სტიპენდიების დასაარსებლადაო.

ა. კობიაშვილი. ბ-ნ ალხაზიშვილის მიერ აღძრული საგანი მეტად დიდმნიშვნელოვანი და საყურადღებოა. ჩვენის ბანკის 25 წლის მოქმედების შესრულების სახსოვარ-საყოფლად კარგი იქნება კრებამ 30 ათასი მანეთი გადასდოს განსაკუთრებულის ფონდის დასაარსებლად. ამ ფონდით ქართველი ყმაწვილები უნდა აღიზარდნენ საკომერციო სასწავლებელში.

გ. დ. ჟურული. ეჭვი არ არის, ეს საქმე მეტად კარგი და საკეთილოა, მაგრამ 30 ათასი მანეთი არა გვაქვს ეხლა, რომ მაგისთვის გადავდოთ. ამიტომ, ჩემის აზრით, უმჯობესი იქმნება კომისია ავირჩიოთ და იმას მივანდოთ ყოველის მხრივ განიხილოს და გამოარკვიოს ეს საქმე.

უგან. თავ. მ. ა. გრუზინსკი. იმდენი ფული არ მოგვეპოვება, რომ ყველა საჭიროებას გავუნაწილოთ. უმთავრესი ჩვენი საზრუნავი ამ ჟამად სათავად-აზნაურო სკოლაა და რაც მეტი ფული გვაქვს, იმისთვის უნდა გადავდოთ, შემდეგში თუ აღმოჩნდება, მაშინ სხვაა.

რწმ. ამირაძოვი. მე მგონია შეგვიძლიან 2,000 მანეთი გადავდოთ ამ საქმისათვის საზოგადო საჭიროების თანხიდგან. ამ ფულის გამოკლება სათავად-აზნაურო სკოლის შენობის აგებას ბევრს არაფერს ავნებს.

ნ. ზ. ცხვედაძე. ბანკის წესდებაში ნათქვამია, რომ საზოგადო-საჭიროებისთვის გადადებული თანხა სოფლის მცხოვრებთა საჭიროებას უნდა მოხმარდესო. ასე ამბობს წესდება და დიდი შეცდომა მოგვივა იგი გამოვწიროთ სოფელში მცხოვრებთ. ქალაქის მცხოვრებთ შეძლება აქვთ თავიანთი შვილები გაზარდონ სასწავლებელში. იმათ ხელშია თითქმის ყველა სასწავლებელი, სოფლელნი-კი ამას მოკლებულნი არიან. ამიტომ ეს ფული მხოლოდ სოფლის მცხოვრებთა შვილების აღზრდას უნდა მოვახმაროთ. ამბობენ, საკომერციო სასწავლებელში ცოტა ქართველი შევიდა სიღარიბის გამოო. აქ სიღა-

---

ეშმაკების ქვეყანაზე, რამთენიც კაი დედ-მამას ცუდი შვილი გამოჰსვლოდეს და ავ-დედ-მამას—კარგი. რა ვუყოთ რო სიკვდილის კარამდინ მიმყვანს გაჭირებას ერთხელ როდისღაც თალიკოს დედისათვინ უნამუსობა უსწავლებია. ი ანდაზები და ლესკები რო ჩამომითვალე მოშაირე-მესტვირესავით, ეს რაღატო დაგავიწყდა, დედა ჩემო, რო

„უზდელთა გვარშიც გამოვა
ძე და ასული ზდილიო,
უნამუსოსაც ჰყოლია
ნამუსიანი შვილიო“.

და თუნდა ესაც არ იყოს, და დაჰეშმარიტებითაც ვიცოდე კიდეც, რო თალიკოც თავის დედის სამარცხვინო კვალზე გაივლის, მაინც არ ვიუარებ და იმას შევირთავ, რადგანაც უიმისოდ ვერ ვიცოცხლებ, და თუ მაგრე ძალზე გწყურიან ჩემი სიკვდილი, ჩემ სიკვდილსაც იმავ დღესვე მოესწრობი, რა დღესაც შენი ჭორიკანა შუამავლების წყეულ-კრული ენა-პირი იქამდინ შაჰშლის და გადაჰრევს თალიკოს, რო სხვაზე გათხოვდება. შენა გგონია მე ვერ გაგიგებდი შენგან გამრახებული სამგლე დედაკაცები რო თალიკოს ათას ცილსა და ჭორებს ელაპარაკებიან ჩემზე: არ შაჰცდე, არ დაიღუპო და არ მისთხოვდე იოველსო: ავი ჭირისაგან დაფქულიაო, ბნედა სჭირსო და ვინ მოსვლის კიდევ რეებს არ ეუბნებიან თურმე საწყალ ქალს ჩემზე ი შენგან დარიგებული და დაქრთამული სათოკე, უნამუსო მანდილოსნები, რა არი მოჭორიკანებული ტყუილებით გულ-გახეთქილმა ქალმა გულიდამ ამომირეცხოს და სხვაზე გათხოვდეს. რას მემართლები შე უკეთურო და შე უსამართლო, დედა ხარ, ჩემი მოსისხლე მტერ-დუშმანი ხომ არა ხარ, რო სამაცდუროდ მოგონილ ჭორებით გულის სიცოცხლე-საყვარელი ქალი ხელიდამ გამომაცალო და ცოცხალი დამმარხო!.. დააყე, დააყე ი ენა-ჭარტალი კუდ-ბაწარა დედაკაცები, დედი, თორე, რჯულის მადლმა, ამაზე მეტი აღარ ჩადის ყელში, იგეთ სისხლზე მოვდივარ გულ გამეხებული, რომ იმ ვერაგებსაც დავხოცავ, შენც მოგკლავ და თავსაც მოვიკლავ ქაჯ-ეშმაკების გასახაროდ. ნუ, ფიქრათაც ნულა გაიტარებ, რომ ვიომ თალიკო გულიდამ ამოვიღო და სხვა შავირთო, აი გაქრეეეს! არა, დედავ, არა და არა! გეფიცები მთელი ცა-ზღვა-ხმელეთის საფიცრებს, ყველა სულდგმულის მკვებავ ძუძუს, ქვეყნის მაცხოვრებელ ხარის ქედს და მუშის მარჯვენას, რო თალიკოს გარდა სხვა ქალის შამრთველი არა ვარ, არა და არა, თუნდაც რომ ორთხემწიფემ თავისი მზეთუნახავი ქალი შამამაძლიოს ცოლად ასი აქლემის საპანე უფასო თვალ-მარგალიტებით.

— ახა ვაგლახმე და უი შენ ჩემო თავო! ნეტავი გამაქრო, გამაწყალა და აღარა მქნა, ე რეები მეყურება მე დედა-მიწა გასახეთქს და შიგ ჩასაძვრენს, ქრისტიანებო!.. იი, იიი, ჩვენთვის ჯვარცმულმა და წამებულმა იესო ნაზარეველმა შაშალოს, გადარიოს და გააგიჟოს და ეკითხოს, შვილო, ჩვენი და ჩვენი თვალთ-ნანახი ადამიანის ცოდვა, როცა ღვთის სამართალში წადგება, იმას, ვინც შენ სიყვარულის წამალი გაჭამა და ემაგრე შაგშალა და გადაგრივა ლომივით ვაჟკაცი!..

— აი დიდება შენთვის უფალო! ჯერაც შენ ეგ არ გითქვამ! ჰაგანგალა-განგალა!.. რას ამობ, ადამიანო, რას იჭმაჭნები და იწნიხები ვაგლახად და რასა ჰბოდავ, ნეტავი მითხრა, რის სიყვარულის წამალიო, რის ფლავი, რის ბოზბაში და ჩიხირთმა, შენ ხატის ღვინო ხო არ დაგილევნია ა დილაობაზე? აი ნეტავი მართლაც გაეჩინა ი დალოცვილ ღმერთს სიყვარულის წამალი, რო მეწვრიმალე ანანიასაგან ერთი ორი გროშისა შენთვინაც ეყიდნა და ეჭმევინა თალიკოს, ევება მაშინ მაინც შაიყვარებდი იმ საცოდავს!..

— ეხლა ჩემ სიმართლეს დასცინი, არას უგონებ, და ბოლოს-კი მომიგონებ, შვილო, შენს საწყალ დედას, ბევრს ინანებ და იტყვი თავში ცემით: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო; რაც მოგივა ალიაო, ყველა შენი ბრალიაო, მაგრამ გვიანღა იქნება და ნაქები მუშა-ვაჟკაცი მტრისა და ქვეყნის ყბათასალები მასხარა გაჰხდები.

— გავხდები და გავხდე, მადლობა ღმერთს, ჰა-ჰა! არც ეხლა დამანებებ თავს, შე ოჯახ-დაქცეულო!...

— რათა, შვილო იოველ დედა გენაცვალოს, რათ უნდა გაჰხდე მტრის გულისად. რათ მინდა იგეთი მავნე ჭკვა და თავი, რო სხვის დასაცინი გავხდე და სხვას მე არ დავცინო! ვაი შერცხვენილო თაო, უი, მოგიკვდეს, შვილო, ჩასაქოლავი დედა-მ'მობელი, რაღა ეშმაკათ მინდა მაშინ ბალღამით სავსე სიცოცხლე, როცა ჩემი მწარე ტანჯვა-ვაებით ნაშობი სისხლი და ხორცი, ჩემი ძუძუ-რძითა და წვითა და დაგვით გაზდილი ნაამაგდარი შვილი უნამუსო ცოლისაგან გულ-მოკლული, უბედური და შარცხვენილი იქნები ქვეყანაში, აღარაფრის გული და ხალისი აღარ გექნება, ჯოჯოხეთად ნაქცევი სიცოცხლე სიკვდილს მოგაწყურებს და შენი თვალ-დამდგარი დედა-მარეხო-კი ვეღარას გიშველის, ჩემო ღვიძლზე ნადებო, დედის ტკბილო იმედო, ნუგეშო და სიხარულო შვილო იოველ!.. მგლოვიარისებური გულ-დაწყვეტით უთხრა დედამ ეს სიტყვები ყოვლის მძლეველ სიყვარულის ყმა-მონად გამხდარს შვილს და თან დედობრივ გულმტკივნეულობის მდუღარე ცრემლები გადმოედინა თვალთაგან ღაპა ღუპით.

შეებრალა იოველს გულ-მდუღარედ აქვითინებული დედა-მოჭირნახულე, გაიამზევარდებულ, სანეტარო თალიკოს ცეცხლივით მგზნებარე სიყვარულით მაგრა შებოჭვილი გული მოხარშულ კომბოსტოსავით ჩაეთუთქა, შავი, მაყვალივით ბრიალა თვალები ცხარე ცრემლებით აევსო, ყელში მოწოლილ ბოღმით სულ შეგუბებულმა ხმა ვეღარ ამოიღო, სახლიდამ გარედ გამოვიდა ენით-გამოუთქმელ სევდა-ნაღველით დაღვრემილ-მწუხარე სახით და ნელის ნაბიჯით გასწია თავ-ჩაღუნულმა იქით, საითაც არავითარი საქმე არა ჰქონდა, არც გაეგებოდა, საით მიდიოდა, სად მიდიოდა და რისთვის მიდიოდა, რადგანაც არეულ-დარეულ მწარე ფიქრებში ჩართულ-დაბნეულსა და გონებადაფანტულს აღარა ესმოდა-რა თავ-ბედისა.

დ. მაჩხანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიბე კი არა, სხვა რამ მიზეზი იქნებოდა, თორემ ქალაქში 35 ათასი ქართველი მცხოვრებია და დავიჯეროთ სასწავლებელში ორის მეტმა ვერ შესძლო შესვლა?

თავ. ვ. ს. მიქელაძე. მე დიდად თანავუგრძნობ ბ-ნ ცხვედაძეს და იმასავითა მსურს სათავად-აზნაურო სკოლის საქმე საუკეთესოდ იქმნას მოწყობილი. მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ამ საქმეში იგი შემცდარია. აქ ლაპარაკი იმის შესახებ-კი არ არის, სოფლელთ წავართვათ და ქალაქელებს მოვახმაროთ ფულიო, არამედ იმის შესახებ, რომ ფონდი ვიქონიოთ, რომლის წყალობით შეგვეძლება ქართველებს გზა გავუხსნათ საკომერციო სასწავლებელში, ისეთ სასწავლებელში, რომელიც ყველა სხვა სასწავლებელზედ მეტს ცხოვრებაში გამოსაყენებელს ცოდნას შესძენს. ჩვენ ქართველებს შეძლება არა გვაქვს და ამ უქონლობას სხვას ვაბრალებთ და არა ჩვენ თავს. ჩვენ უნდა მოვემზადნეთ ცხოვრებაში ბრძოლისათვის და მომზადება-კი, სხვათა შორის, ისეთ სასწავლებელში შეიძლება, სადაც ვაჭრობა-მრეწველობის, აღებმიცემობის საქმეს ასწავლიან. თუ ასეთ საშუალებებს გვერდი ავუხვიეთ, ბრძოლისათვის არასოდეს არ ვიქმნებით მზად. ხვეწნა, მუდარა და ცარიელი სიტყვები არაფერს არ გვიშველის. ამბობენ, რომ ქართველთა სიმცირის მიზეზი ახლად დაარსებულ საკომერციო სასწავლებელში სიღარიბე არ არისო. გარწმუნებთ, რომ ამის მიზეზი მარტო სიღარიბეა. მე თვით ამ სასწავლებლის საბჭოს წევრი ვარ და კარგად ვიცი, რომ ბევრმა ქართველმა შემოიტანა თხოვნა, მაგრამ უკანვე წაიღო, როდესაც გაიგო, რომ სწავლის ფული 120 მანეთიაო. ეს სასწავლებელი სხვაფრივადაც არის ყურადღების ღირსი. იგი ერთად-ერთი სასწავლებელია, სადაც ქართულის ენის კათედრაა და ეს ენა სავალდებულოა მოსწავლეთათვის. ამიტომ, ბატონებო, უნდა ვიზრუნოთ ამ საქმისათვის. პოლიტეხნიკუმისთვის ჩვენ ფულსა ვდებდით. ეხლა ეს ფული 7000 მანეთამდე იქმნება. შეიძლება ეს ფული გადავდოთ და ფონდი შევადგინოთ.

შემდეგ თავ. დ. ე. ხოლოყაშვილმა წინადადება შეიტანა, რომ ფული კახეთში სამეურნეო სასწავლებლის ფონდისათვისაც იქმნას გადადებული; ხოლო ნატროშვილმა—ალავერდის ტაძრის აღსადგენად და შესაკეთებლადაო.

მცირე კამათის შემდეგ დაადგინა საზოგადო საჭიროებისათვის გადადებული თანხა ისე იქმნას განაწილებული, როგორც იგი ზედამხედველმა კომიტეტმა დაადგინა. რაც შეეხება სტიპენდიებს საკომერციო სასწავლებელში, ამ საგნის გამორკვევა და მოხსენების შემუშავება ზედამხედველ კომიტეტს და გამგეობას მიანდო.

კრებამ შეიწყნარა აგრეთვე ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის მოხსენება სასოფლო სამეურნეო თანხის განაწილების შესახებ. ეს თანხა 20,851 მან. 74 კაპეიკისაგან შესდგება. კომიტეტსა და გამგეობას ასე გაუნაწილებია იგი: 1) 2,085 მან. ტფილისში განზრახულ პოლიტეხნიკუმს (1898 წლის საზოგადო კრების დადგენილების თანახმად); 2) წინამძღვარიანთ-კარის სკოლას—5,000 მან., 3) კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას ტფილისის საბაღოსნო სკოლისათვის—1,000 მან., და 4) ამავე საზოგადოებას ტფილისის გუბერნიაში სასოფლო სამეურნეო სასტატისტიკო ცნობების შესაკრებ ბიუროს დასაარსებლად—1000 მანეთი, და 5) დანარჩენი 11,766 მან. 74 კაპ. „ტფილისის გუბ. თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას“ სათავად-აზნაურო სკოლის შენობის ასაგებად.

ამ მოხსენების განხილვის დროს ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებაც, რომ მაჩხაანის დეპოსაც აღმოეჩინოს შემწეობა და მისის თხოვნის თანახმად, 5,000 მან. მიეცეს სესხადაო. კრებამ ეს თხოვნა არ შეიწყნარა.

ამითი ყველა საქმეები განიხილა კრებამ და არჩევანები-ღა დარჩა, რომელიც დანიშნულია დღეს, 2 მაისს, საღამოს 7 საათისათვის.

---

## „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების“ წევრთა წლიური კრება.

კრება შაბათს, 29 აპრილს, მოხდა სათავად აზნაურო ბანკის სადგომში. კრებას თავმჯდომარეობდა კომიტეტის წევრი ნ. ზ. ცხვედაძე. წაკითხულ იქმნა შემოსავალ-გასავლის ანგარიშები ამ საზოგადოების სახლისა (ტფილისშია ეს სახლი), „სკრის“ მამულისა და სათავად-აზნაურო სკოლისათვის განზრახულ შენობისა. ლაპარაკი გამოიწვია „სკრის“ მამულმა; როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, ამ მამულს საზოგადოებისათვის ჯერ-ჯერობით თითქმის არაფერი სარგებლობა არ მოაქვს.

თავ. დ. ზ. ბარათაშვილი. „სკრის“ მამული ჩვენ მარტო სახელისათვისა გვაქვს. ეგ მამული ზარალის მეტს არასფერს გვაძლევს. მიზეზი-კი ამისა უპატრონობა და მოუვლელობაა. მე დამითვალიერებია ეგ მამული და ვიცი, მოვლა რომ ჰქონდეს, უეჭველად დიდს სარგებლობას მოიტანს. ამიტომ საჭიროა მცოდნე კაცი გავგზავნოთ; თორემ ასეთ ქონას მამულისას, უქონლობა სჯობია.

თავ. ვ. ს. მიქელაძე. (შეეკითხა კომიტეტს) რა შემოსავალი აქვს მამულს? საიდგან ისტუმრებს ვალს?

კომიტ. წევრი ნ. ზ. ცხვედაძე. შემოსავალი მამულს მეტად ცოტა აქვს. ვალს ვერ ისტუმრებს. ეს მამული როდესაც შევიძინეთ, მეტად აოხრებული და უპატრონოდ მიტოვებული იყო. თვით მამული-კი მდიდარია: სახნავ-სათესია, ვენახებია იქ; ფული რომ დაიხარჯოს, უეჭველად დიდ შემოსავალს მოიტანს; მაგრამ სწორედ ფული ვერსად გვიშოვნია.

თავ. რ. კაჩნაძე. ჩვენ აქ სკოლის საქმეებზედ შევიკრიბენით და არა მამულებსა და ვენახებზედ სალაპარაკოდ. უმთავრესი საზრუნი სკოლა გვაქვს. უნდა ვეცადნეთ ეგ სკოლა უზრუნველ-ყოფილი გავხადოთ. მამული არ გამოადგება საზოგადოებას. ყველასა გვაქვს მამული, იქვე ვცხოვრობთ, მაგრამ მაინც ვერ მოგვივლია და კომიტეტი აქედგან რას მოუვლის! ამიტომ ისეთი მამული, რომელსაც სარგებლობა არ მოაქვს, უნდა გავყიდოთ. უნდა ვიზრუნოთ შვილების აღზრდისათვის. აგერ ტფილისში ეხლა სავაჭრო სასწავლებელი დაარსეს და ქართველი-კი ორზედ მეტი ვერ შევიდა იქ. ვამბობთ მრეწველობა, მრეწველობაო და მამულს-კი ჩავციებივართ. საქმე ვაჭრობა, მრეწველობაა. ვაჭრობის საქმე უნდა შევასწავლოთ შვილებს, რომ ქონება შეიძინონ.

კომიტეტის წევრი გ. დ. ყურული. თქვენი საყვედური საფუძვლიანი იქმნებოდა, ჩვენ რომ მარტო მამულის მოვლას უნდებოდეთ და სკოლას-კი ყურადღებას არ ვაქცევდეთ. მაგ მამულის ისტორია ასეთია. შესდგა ჯგუფი, ამ ჯგუფმა განიზრახა სწავლა შესძინოს იმ ახალგაზდებს, რომელნიც საშუალო სასწავლებელს ვერ ამთავრებენ და შორს ვერ მიდიან სწავლის მისაღებად. აი მაშინ გვირჩიეს შეგვეძინა ეს მამული მომავალის სამეურნეო სასწავლებლისათვის. რაც შეეხება სავაჭრო სკოლასა და სამრეწველო სწავლას, მაგაში სრულიად გეთანხმებით. ჩვენში ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ სამრეწველო სწავლას, შეიძლება იმიტომ, რომ დღემდის ამნაირი სასწავლებელი არ არსებობდა საქართველოში. ეხლა დაარსეს და თუ გვიბრძანებთ და საზოგადო კრება გადასწყვეტავს, სტიპენდიანტებს ვიყოლიებთ იქ.

თავ. ვ. ს. მიქელაძე. ეხლა სკრის მამულის გაყიდვა საზარალოა ჩვენთვის; ჯერ ერთი ბანკის ვალი შემცირდა, მეორე—მამულის ფასმა აიწია. ეს მამული საქართველოს შუაგულ ადგილს არის და მომავალის სასწავლებლისათვის მეტად მოხერხებულია. ამიტომ ამ მამულის გაყიდვა შეცდომა იქმნება.

როგორც კრებას აუწყეს, „სკრის“ მამული 1446 დესეტინისაგან შესდგება. აქედგან 355 დეს. სახნავ-სათესი ყოფილა, 52 დეს.—სათიბი, 1000 დეს.—საძოვარი და (ტყე უმეტეს ნაწილად გაკაფულია თურმე); 5 დეს.—ვენახი და 16 დეს. გამოუსადეგარი მიწა.

შემდეგ კრებას აუწყეს, რა მდგომარეობაშია სათავად-აზნაურო სკოლის მომავალის შენობის აგების საქმე. როგორც მკითხველებმა უთუოდ უწყიან, ეს შენობა ვერაზედ უნდა ააგონ, ამისათვის მამულიც შეძენილია. კომიტეტი მუშაობას უკვე კარგა ხანია შესდგომია თურმე. მოუწვევია ხუროთ-მოძღვარი კლდიაშვილი, შეუდგენიათ გეგმა, გაუმართავთ აგურხანა, ამოუყვანიათ წყარო, შეუძენიათ საჭირო ინვენტარი და სხვა. როგორც გამოანგარიშებულია, შენობას 350 ათასი მანეთი დასჭირდება. კომიტეტს ჯერ ჯერობით 25,676 მან. 80 კაპ. დაუხარჯნია, დარჩენია კიდევ 7035 მან. 16 კაპ. უმთავრეს წყაროდ ამ სკოლის ასაშენებლად კომიტეტს ის ფული მიაჩნია, რომელსაც ყოველ წლიწადს ამ საქმისათვის სათავად-აზნაურო ბანკი გადასდებს. ეს ფული კომიტეტს სესხად ეძლევა.

მოისმინა რა კომიტეტის აზრი შენობის შესახებ, კრებამ დაამტკიცა ყველა ანგარიშები და ხარჯთ-აღრიცხვანი. კრებამ მადლობა გადუხადა კომიტეტის წევრებს და აგრეთვე გ. დ. ქართველიშვილსა, კ. ყავრიშვილს და ვ. დ. გაბაშვილს, რომელთაც შემწეობა აღმოუჩენიათ და დახმარება გაუწევიათ კომიტეტისთვის შენობის აგების საქმეში.

დასასრულ მოგვყავს კომიტეტის ანგარიშიდგან მცირე ადგილი ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ. სასწავლებელი ამ ჟამად ოთხის მოსამზადებელ განყოფილებისა და რვა გიმნაზიურ კლასისაგან შესდგება. საანგარიშო წელს მოსწავლეთა რიცხვი 537 იყო (აქედგან მოსამზადებლებში—314 და გიმნაზიურ კლასებში—213). წლის განმავლობაში მოემატებია 23, ასე რომ ამ ჟამად სულ 560 მოსწავლე ყოფილა. გარედგან მოსიარულე 438 მოსწავლე ყოფილა, პანსიონერი—122 მოსწავლე, აქედგან—26 საზოგადოების სრულ ხარჯზედ, 42 საზოგადოების ნახევარ ხარჯზედ. თავადი და აზნაური მოსწავლეთა შორის 398 ყოფილა, გლეხი—68, სასულიერო წოდებისა—41, მოქალაქე—37, მოხელის შვილი—16. სასწავლებელში ამ ჟამად 41 კაცი მსახურებს.

---

## გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობის კრება

კვირას, 30 აპრილს, ქ. გორში კრება ჰქონდა ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობას. კრება დაიწყო ნაშუადღევის $12^1/_2$ საათზედ ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ თავ. კ. მ. ამირაჯიბმა. კრებას საკმაო რიცხვი წევრთა დაესწრო. საზოგადო კრების თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა თავ. სიმ. ნიკ. ვეზირიშვილი, ხოლო კრების მდივნად თავ. მ. ნ. გედევანიშვილი. კრების დაწყებისთანავე გამგე-დირექტორმა თავ. ვ. გ. მაჩაბელმა კრებას მოახსენა ამხანაგობის 1899 წლის მოქმედების ანგარიში *). საზოგადო კრებამ, მოისმინა რა ამასთანავე ზედამხედველ კომიტეტის აზრი ანგარიშის შესახებ, დაამტკიცა ანგარიში და ზედამხედველ კომიტეტის აზრისამებრ, დაავალა გამგეობას: 1) შემდეგში ანგარიშის შედგენის დროს იხელმძღვანელოს ზედამხედველ კომიტეტის შენიშვნებით და 2) წევრთა საზოგადო კრების ამხანაგობის ყოველ განყოფილების ანგარიშები უფრო ვრცლად მოხსენდეს ხოლმე. ამას გარდა კრებამ დაადგინა მოგების გაუნაწილებელი ნაშთი 518 მან. 32 კაპ. საზოგადო საჭიროების თანხას მიემატოს.

შემდეგ კრებას მოხსენდა ამა 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვა ზედამხედველ კომიტეტის შენიშვნებითურთ. კრებამ დაამტკიცა ხარჯთ აღრიცხვა იმ ცვლილებანით, რომელიც ზედამხედველ კომიტეტს დაენახა საჭიროდ. ამასთანავე კრებამ ნება დართო გამგეობას ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულ ფულიდგან ერთ-დროებითად დახმარება აღმოუჩინოს ამხანაგობაში მოსამსახურეს თავ. სიმონ მიქელაძეს (გომის განყოფილებაშია) 150 მანეთამდე. კრებამვე, მოისმინა რა მოხსენება კრედიტის გაფართოვებისა და საღებ-მიცემო თანხის გასაძლიერებლად სათადარიგო და საზოგადო საჭიროების თანხებიდგან ფულით სარგებლობის შესახებ, დაამტკიცა. მოხსენება გამგეობისა ამხანაგობის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლისა და შევსების შესახებ არ იქმნა განხილული, რადგანაც ამისათვის წესდების მიერ დაკანონებული რიცხვი წევრთა არ დაესწრო. ამის გამო დადგენილ იქმნა, საგანგებო კრება იქმნას მოწვეული ამხანაგობის წევრთა სოფ. გომში ამა წლის 30 მაისისთვის.

დასასრულ კრება არჩევანებს შეუდგა: ზედამხედველ კომიტეტის წევრებად ერთ-ხმად ამორჩეულ იქმნენ კენჭის უყრელად თავ. გიორგი დიმიტრის ძე ვეზირიშვილი და თავ. ივანე ავთანდილის ძე ბეგთაბეგოვი. გამგე დირექტორის თანამდებობაზედ კენჭი იყარა მხოლოდ თავ. ვ. გ. მოჩაბელმა და იგი ამორჩეულ იქმნა 19 ხმით 7 წინაამდეგ.

*) ცნობები ამ ანგარიშიდგან ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა მოთავსებული („ივერიის“ 1900 წლისა 22 აპრილის № 86).

---

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ორ კვირამდისინ იქნება, რაც ინგლისის ჯარი ჩრდილოეთისაკენ მიიწევს და ბურებიც თანდათან უკან იხევენ, ისე რომ ერთი შესამჩნევი შეტაკებაც არ მომხდარა მოწინააღმდეგეთა შორის. როგორც ლონდონიდან მოსულ დღევანდელ დეპეშიდან სჩანს, კრონშტადტში დაუბრკოლებლად შესულა ბრიტანიის ჯარი და ორანჟეს რესპუბლიკის პრეზიდენტი შტეინი ლინდლეიში გადასულა. ასეთი გარემოება საქმისა ბევრს აფიქრებს და ჟურნალ-გაზეთები იმის გამორკვევაში არიან, თუ რისთვის არ ეღობებიან ბურები მტერს წინ და სისხლის დაუღვრელად რატომ უტოვებენ მას თავიანთ მიწა-წყალს. ზოგიერთ გაზეთების აზრით ბურები მიტომ არ ეწინააღმდეგებიან მტრის მოძრაობას, რომ ასეთი საქციელი მათი სამხედრო გეგმის ერთ ნაწილს შეადგენს. რამდენათაც რობერტსი წინ უფრო წაიწევს ჩრდილოეთისაკენ, იმდენათ ბურებს უფრო გაუადვილდებათ იმოქმედონ მის წინააღმდეგ უკანა მხრიდან და გვერდიდან და, მოულოდნელად და ხშირად თავს დასხმით, მათმა ბუკრებელმა რაზმებმა არაქათი გამოულიოს მის მხედრობას. სხვები-კი სულ წინააღმდეგი აზრისა არიან და ასე ჰფიქრობენ, რომ ბურები დაიღალნენ, სასოწარკვეთილებასაც მიეცნენ, ე. ი. იმედი დაჰკარგეს, რომ რაიმე გააწყონ ინგლისის წინააღმდეგ, და ამიტომ აღარ იბრძვიან წინანდებურადო.

ამ ორ მოსაზრებათაგან რომელი მართალია და რომელი ტყუილი, მომავალი გამოაჩენს, მაგრამ ჭეშმარიტებასთან ახლო უკანასკნელი მოსაზრება უფრო უნდა იყოს. მართლაც, ვის ეგონა, თუ ერთი მუჭა ხალხი, რომელიც ნახევარი მილიონი არც კი იქნება, აქამდისინ გაუმაგრდებოდა ისეთს ძლიერს სახელმწიფოს, როგორიც ინგლისია. 7 თვემდისინ იქნება, რაც სამხრეთ აფრიკაში ომია, და ამოდენა ხნის განმავლობაში რომ ბურები მოქანცულიყვნენ, მიუხედავათ მათი ზღაპრული სიმამაცისა, არავისათვის საკვირველი არ უნდა იყოს, მით უფრო, რომ არც ერთი სახელმწიფო არ აღმოჩნდა მათ მოსარჩლედ და, პირ-იქით, პორტუგალიამ ნეიტრალიტეტიც-კი დაარღვია, ე. ი. ნება მისცა ინგლისს მისს სამფლობელოზე როდეზიაში მომავალი ჯარები გაეტარებინა.

**სერბია.** გაზეთების სიტყვით, ალექსანდრე მეფესა და მისის მამის მილანის შორის დიდი უთანხმოება ჩა-

მოკარძნილა. მილანს მეტის მეტი ბატონობა მოუნდომებია სერბიაში და მეფეს, რომ ვერა გაუწყვია-რა თავი განთავისუფლებინა მისი ასეთი საქციელისაგან, ბოლოს დარწმუნებულა, რომ საჭიროა სრულიად შეწყვიტოს ყოველივე კავშირი მასთან და სერბიიდან განდევნოს. მამასა და მეფე-შვილს შორის ასეთს განხეთქილებას ორ დასად გაუყვია სახელმწიფო მოხელენი და ჯარის-კაცნი, მეფის მომხრეებს ჰმეთაურობს თურმე მინისტრ-პრეზიდენტი გიორგიევიჩი, ხოლო მილანის სასარგებლოდ მოქმედებს ფინანსთა მინისტრი პეტროვიჩი. მილანს უფრო ბევრი მომხრეები ჰყოლია; ესენი იმას ამტკიცებენ თურმე, რომ ალექსანდრე მეფეს არ შეუძლიან დამოუკიდებლად განაგოს სახელმწიფო საქმეები და ადრე თუ გვიან ისევ იძულებული იქნება მამას მიჰმართოს.

დამაკვირდი

პატარა მწუხარება ყბედია, დიდი-კი ხმა-ამოუღებელი.

სენეკა

***

მოწყენილობა ბედნიერთა უბედურობაა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 აპრილი

**ომსკი.** ორის თვის განმავლობაში თვალების ექიმებმა, რომელნიც ციმბირის გზის მხარეში თვალით ავადმყოფთა სამკურნალოდ წავიდნენ, 2155 თვალით ავადმყოფს აღმოუჩინეს საექიმო შემწეობა. ეს ციფირები ცხადად ამტკიცებს, თუ აქ ექიმთა რიცხვი რამდენად მცირეა.

**ლონდონი.** ქუინსთაუნ-სიადინგიდან იუწყებიან: „აქ (კრონშტადტიდან 14 მილის სიშორეზე) ჯარი ჩინებულად მიდის. წინ ფრენჩი მიუძღვის თავისის ცხენოსანი ჯარით. რკინის გზის ლიანდაგი შეკეთებულია თითქმის მდინარე ზანდამდე; მდინარის აქეთ გზა გაფუჭებულია, მაგრამ დიდ მანძილზე არა, რადგან ბურებმა დიდის სიჩქარით დაიწიეს უკან. მტერი ახლა თხრილებს აკეთებს კრონშტადტის გარშემო“.

რობერტსი დეპეშით იუწყება 28 აპრილს: „ჯარი, რომელმაც დღეს 30 მილი გაიარა, ქუინსთაუნ-სიადინგში შევიდა. ადგილი მდებარეობს ბოშრანდიდან 6 მილის სიშორეზე, სადაც ბურებს გამაგრებული პოზიცია უჭირავთ. გორდონის ბრიგადაც მათთან ერთად გამოვიდა გუშინ. ტუკკერის დივიზია ცოტა ქვეითაა, სამხრეთისაკენ. გამილტონის ჯარები მოშორებითა სდგას დასავლეთისაკენ. ბროდვუდის ბრიგადა დაეწია გუშინ მტრის პოტგიტერის ბანაკთან ურმებს, რამდენიმე ურემი ჩაიგდო ხელთა და რამდენიმე ბური ტყვედ წაიყვანა. ფრენჩი პორტერისა და დისკანის ბრიგადებითურთ და გუტტონის ამხედრებული ჯარით ქუინსთაუნ-სიადინგის ახლო სდგას ჩრდილოეთისაკენ. უკანასკნელ ორის დღის განმავლობაში წაყვანილი ტყვედ ას კაცამდეა“.

**კაპშტადტი.** რაზმმა, რომელიც გაგზავნილია მეფკინგში შესასვლელად, ფრიებურგი განვლო.

**ალივალნორტი.** ინგლისის დარაჯნი ტრანსვაალში გადავიდნენ. ვაალიდგან სამხრეთისაკენ ბურების დარაჯნი შენიშნეს, ლარრენტონიდგან 8 მილის სიშორეზე.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება ბოშრანდიდგან, რომ ის კრონშტადტიდგან სამხრეთისაკენ 8 მილის სიშორეზე იმყოფება. მიატოვა მტერმა ღამე პირველი სანგლები. ფრენჩმა გუშინ მდ. ვაალზე ფონი დაიჭირა, სანამ მტერი გამაგრებას მოასწრობდა.

30 აპრილი

**პეტერბურგი.** შავი ზღვის წინააღმდეგ ლონისძიებათა მიმღები კომისია აცხადებს, რომ ეგვიპტის ქალაქი ალექსანდრია შავის ჭირის მხრივ საიმედო არ არისო.

**კრონშტადტი.** რობერტსი შემოვიდა აქ ისე, რომ მტერს წინააღმდეგობა არ გაუწევია; ინგლისის დროშა ამართულ იქმნა. პრეზიდენტი შტეინი გუშინ საღამოს გაიქცა, თუმცა ბურგერები ურჩევდნენ წინააღმდეგობა განაგრძეო. ტრანსვაალელმა ბურებმა განაცხადეს, რომ მეტს აღარ ვიომებთ ორანჟეს რესპუბლიკაშიო და მდინარე ვაალისაკენ დაიხიეს. ორანჟელი ბურები ბრალსა სდებენ ტრანსვაალელებს, რომ პირველად ჩვენით სარგებლობდნენ და შემდეგ-კი მიგვატოვესო. ბევრი ორანჟელი ბური თავიანთ სახლებში წავიდა. შტეინმა განაცხადა, რომ ორანჟეს რესპუბლიკას მთავარი სამმართველო ლინდლეიში გადამაქვსო.

**ბუდა-პეშტი.** ავსტრიის დელეგაციის პრეზიდენტად არჩეულ იქმნა იავორსკი.

**ბელგრადი.** სასამართლო შეუდგა ტაუშანოვიჩის საქმის განხილვას. ბრალდებულმა განაცხადა, რომ აქციები არ მომიტაცნიაო. აქციები სხვებმა მოიტაცეს, ისარგებლეს-რა ჩემის საპყრობილეში ყოფნით, რათა დამნაშავეთ მე გამოვეყვანეთო.

**კიმბერლეი.** ინგლისის მზვერავები ფორტინსტრიმსიდგან ტრანსვაალში შევიდნენ.

**ბირმინგამი.** ჩემბერლენმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც სასტიკად შეეხო ორპირ დასს, რომელიც მხარს აძლევს ომიანობას, რათა ამომრჩევლები მიიმხრონ. ჩემბერლენმა ბრალი დასდო ბანერმანს, რომ ის წინააღმდეგობას უწევდა მთავრობას მშვიდობიანობა დაეცვაო. ომის შემდეგ ინგლისი უფრო ძლიერი იქმნება, ვიდრე იყოვო. ორატორი იმედოვნებს, რომ ერს საკმაოდ ექმნება კეთილგონიერება და სიმამაცე, რათა გაისწოროს თავისი შეცდომილებანი. ჩემბერლენმა გააფრთხილა მსმენელები ზოგიერთ პოლიტიკოსების მხრივ მოსალოდნელ ლონისძიებათა წინააღმდეგ, რომელთაც აზრად აქვთ არ მოახმარონ ინგლისს გამარჯვების ნაყოფი. რაც შეეხება უმთავრეს პირობებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკებთან ომის შესაწყვეტლად, ჩემბერლენმა ის ასე განმარტა: მთავრობას აზრად არ აქვს ხელ-ახლა დამოუკიდებლად აღიაროს რესპუბლიკები და მათი მიწა-წყალი შერიცხულ უნდა იქმნას დედოფლის სამფლობელოებში და იქ ინგლისის დროშა უნდა ფრიალებდესო; პირადი თავისუფლება დაცულ იქმნებაო. ომის შემდეგ რამდენისამე ხნის განმავლობაში სამხედრო მმართველობა იქნება, მაგრამ მთავრობას აზრად აქვს, როცა-კი მოხერხდება, ორივე რესპუბლიკა შეჰრიცხოს ახალშენებში საკუთარის მთავრობითო.

1 მაისი

**პეტერბურგი.** უმაღლესი მანიფესტი: „წყალობათა ღვთისათა, ჩვენ ნიკოლოოზ მეორე, იმპერატორი და თვით მპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლანდიისა და სხვათა და სხვათა, ვუცხადებთ ჩვენთა ერთგულთა ქვეშევრდომთა, რომ 30 აპრილს კორფუში გარდახდილ იქმნა ქორწინება უსაყვარლესისა ჩვენისა პაპის ძმისწულისა დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძისა და მისის უმაღლესობის ელინთა მეფის გიორგის ასულის მარიამისა. ვაცხადებთ რა ამა გულისა ჩვენისათვის სასიხარულო ამბავს. და ვუბრძანებთ-რა დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძის მეუღლეს მარიამ გიორგის ასულს იწოდებოდეს დიდ მთავრინად და იხსენიებოდეს იმპერატორობით უმაღლესობად, სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ ერთგულნი ქვეშევრდომნი ჩვენნი თვისსა მხურვალე ლოცვავედრებასა ყოვლად შემძლებელ და ყოვლად მოწყალე ღმრთის მიმართ შეუერთებენ ჩვენსას, რათა გულისა ჩვენისა საყვარელ ახლად დაქორწინებულთ მიანიჭოსმცა მან მუდმივი და შეურყეველი კეთილ-დღეობა“.

**ბუდა-პეშტი.** დღეს იმპერატორმა, როდესაც ორივე დელეგაცია მიიღო, სთქვა: „სახელმწიფოში არავითარი პოლიტიკური ცვლილება არ მომხდარა. ჩვენ გულითად განწყობილებას მოკავშირე სახელმწიფოებთან ზედ დაერთო კარგი განწყობილება სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით რუსეთის იმპერიასთან“.

**ბელგრადი.** ის ამბავი, რომ სამინისტროს კრიზისი მომხდარაო, სიმართლეს მოკლებულია.

**ოდესსა.** იმპერატრიცა ეკატერინეს ძეგლის კურთხევა დანიშნულია 6 მაისისათვის.

**კონსტანტინეპოლი.** ბაქტერიოლოგმა ნიკოლლმა აღმოაჩინა, რომ სმირნაში შავი ჭირი არ არისო. ავადმყოფნი რჩებიან.

**მასსერუ.** რენდლი და ბრაბანტი წინ მიიწევიან. ჰფიქრობენ, რომ ეს გენერლები მდინარე ლეუვთან არიან. რობერტსის მსწრაფლმა წინ მსვლელობამ დიდად იმოქმედა ორანჟიელ ბურებზედ, რომელნიც კლოკოლანისა და ნორანნაბერგის მახლობლად იდგნენ. ეს ბურები სხვა-და-სხვა მხრისაკენ მიდიან, ფერმებში სტოვებენ მხოლოდ ქალებს. თუმცა შეიძლება, ინგლისელებს წინააღმდეგობა გაუწიონ, მაგრამ დაუჯერებელია, რომ ინგლისელების წინმსვლელობა შეაჩერონ. ცალკე რაზმები ბურებისა ჯერ კიდევ მზად არიან, რომ ინგლისის სუსტ რაზმებს დაეცნენ.

**კრონშტადტი.** ფელდკორნეტმა გადასცა ქალაქი რობერტს. რობერტსი შევიდა ქალაქში. ბურებმა მდინარე ვაალისაკენ დაიწიეს და იქ გამაგრდნენ.

**ტაბანჩუ.** ცნობილია, რომ ბურების რაზმი კრისლაინის გორაკზედა სდგას, ჩრდილოეთით 15 მილის მანძილზედ. გუშინ ინგლისის დიდი რაზმი რეკოგნოსციროვკაზედ იყო. ბურებმა უკვე მიანებეს თავი პოზიციებს, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი იუწყებიან, ბურები მაგნალინის მთებისკენ წასულან.

**პეტერბურგი.** სათავად-აზნაურო მომგებიან სესხის მე-21 ტირაჟში უმთავრესი მოგებანი ჰხვდა შემდეგ ბილეთებს: ორასი ათასი—1927—31; სამოც-და ათი ათასი—14147—39; ორმოცი ათასი—7975—46; ოც-და-ხუთი ათასი—6888—40; ათი-ათასი—1112—32, 15480—16, 2—50; რვა ათასი—6328—31, 12486—49, 13690—25, 11825—47, 1288—50; ხუთი ათასი—7425—22, 12512—50, 3820—25, 6615—36, 15447—22, 987—35, 15422—31, 10563—43; ათასი—7419—4, 13313—3, 12850—5, 13645—49, 14920—49, 11227—11, 1142—15, 13338—40, 9558—6, 10701—31, 11481—5, 4890—41, 15096—13, 98—47, 10029—4, 12661—16, 733—24, 11960—33, 10720—49, 10389—14.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ კნეინა ტასია გიორგის ასულს გურიელისას, რომელმაც შემოსწირა ოზურგეთის ქალთა ორკლასიან სამრევლო სკოლას კედლის საათი, ღირებული 50 მანეთად, და შემდეგშიაც აღუთქვა შემწეობა. აგრეთვე დიდი მადლობის ღირსია სოლომონ ჭეიშვილი, რომელმაც შემოსწირა ამავე სკოლას ხუთი მანეთი.

ხაზინადარი მზეხა ხუნდაძისა.


## განცხადებანი



თვით-მოძრავი ელევატორი ხან-აგოვისა.

ასეთს ელევატორს დღე და ღამ განუწყვეტლივ ამოაქვს წყალი თავის-თავად ქვეიდგან ზევით. იგი საუცხოვოა მინდვრებისა და ბაღების სარწყავად.

მსურველმა ამ ადრესით უნდა მიჰმართოს:

Л. Е. Ханъ-Агову, Тифлисъ, Петербургская улица, № 12.

(15—102—3)




(50—267—28)

## ვკისრულობ

სასამართლოში საქმეთა წარმოებას.

მსურველთ შეუძლიანთ მოგვმართონ დილის 8—10 საათ. და საღ. 6—8 საათამდე.

ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 42.

(5—1)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




### ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

### „კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—95)

ჰუმშკინის ფოტოგრაფია
ა. ს. ნოვლენსკისა,
რომელიც 1892 წლიდან 1899 წლამდე თბილისის ფოტოგრაფიას განაგებდა,
აგრეთვე ფოტოგრაფიულ საქმეს.
სურათების გადაღება ყოველ დღეს, მოსამართლის
სამხედრო ... ნაკვეთები სასურველი გამოვიყვანოთ.
ტფილისი, პუშკინის ქ., ... ქუჩ. ...
(30—44—27)